

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აგვისტო 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი ჩიხისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, კობა სერგიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ოთხ ჩიხს მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, კობა სერგიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



კობა სერგია

(1975-2008)

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლი, კაპიტანი. უმწიკვლო სამსახურისთვის დაჯილდოებულია III ხარისხის მედლით. ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსანი.

კაპიტანი კობა სერგია 1975 წლის 13 იანვარს, ზუგდიდის რაიონში დაიბადა. მან გაგრაში დაამთავრა სკოლა. შემდეგ იყო აფხაზეთის ომი, სავალდებულო ჯარი, სამხედრო აკადემია. მან თავისი კარიერა ომში გმირულად დაასრულა. დაეცა ცხინვალში.

იქამდე, აფხაზეთის ომი რომ დაიწყო, 17 წლის ჭაბუკი წამითაც არ დაფიქრებულა, ისე ჩაება ბრძოლაში. დაჭრილი გამოარიდეს წინა ხაზს. ამ ომმა განსაზღვრა მთელი მისი მომავალი. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოვლის შემდეგ, სამედიცინო ინსტიტუტის ნაცვლად, სამხედრო აკადემიაში ჩააბარა.

კაპიტანი კობა სერგია ბოლოს ვაზიანში, მეოთხე ბრიგადაში მსახურობდა შტაბის უფროსად.

ოჯახისთვის დღემდე უცნობია, ზუსტად რა ვითარებაში დაიღუპა კობა სერგია. ერთ-ერთი ვერსიით, კობა სერგია, მეთაური დოლიძე და ჯოჯუა ცხინვალში იყვნენ, როცა რუსები შემოვიდნენ. რუსებსა და ოსებს შორის მოექცნენ, ვეღარც წინ წავიდნენ, ვერც უკან მოდიოდნენ და თავი მახლობელ შენობას შეაფარეს, რუსებმა ნაღმი შეუგდეს და სამივე იქ დაიღუპა.